შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღას“ თავის სამაუწყებლო ზონაში (ფოთი-GEO252) მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ქ.ფოთი

2023 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ფოთი-GEO252 სამაუწყებლო ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცენტანტი“).

ფოთი-GEO252 ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემეაუწყებლების „ოფერტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომის პირობებით:

1.1 მომსახურება იქარმოებს DVB-T (EN 300 744) სტანდარტით და მონაცემთა სემჭიდროვების MPEG2(H-264 – JSO/JES 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T პარამეტრებით SD არხის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს არანაკლებ 2,15 მგბტ/წმ–ისა;
1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ.ფოთი, მშვიდობი 4
1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართზე
1.4 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეოსიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით.

2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 ფოთი-GEO252 ზონაში ღია ეთერით 1 მგბტ/წმ–ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 503 ლარს დღგ–ს გარეშე

2.2 ფოთი-GEO252 ზონაში ღია ეთერით SD სიგნალის გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 1081.0 ლარს დღგ–ს გარეშე

2.2 ფოთი-GEO252 ზონაში ღია ეთერით HD სიგნალის გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 4025.0 ლარს დღგ–ს გარეშე

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

3.1 „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარმოადგინოს :

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე



გერმანე სალია

სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღის

დირექტორი